ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3766296

ნომერი: AR1566917

თარიღი : 25.12.2017

გაცემის თარიღი : 10.01.2018

გაცნობის თარიღი : 22.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რევაზ ჯაფარიძის ქუჩა N52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევანი ჯაჭვაძე პ/ნ 35001044343
- რუსთავი სპორტის ქ. კორ. 2 ბ. 9

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1566917 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, რ. ჯაფარიძის ქ. #52-ში (ს/კ #01.15.01.002.002) ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით წარმოების შემთხვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 21 დეკემბერს #AR1566474 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე ლაშა ბრეგვაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, რ.ჯაფარიძის ქ. #52-ში სამშენებლო სამართალდარღვევის სანქციისგან გათავისუფლება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #№3761437 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
ასევე რომ 2017 წლის 26 დეკემბერს #AR1567172 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ლაშა ბრეგვაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, რ.ჯაფარიძის ქ. #52-ში სამშენებლო სამართალდარღვევის სანქციისგან გათავისუფლება, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.